საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

„ელექტროავტომატი“

„ელექტროავტომატი“ (სააქციო საზოგადოება), ელექტროტექნიკური მანქანათმშენებლობის საწარმო. დაარსდა 1955 თბილისში, საექსპლუატაციოდ გადაეცა 1956. ექვემდებარებოდა საკავშ. ელექტროტექნიკური მრეწველობის სამინისტროს (1991-მდე). 1974 შევიდა საწარმოო გაერთიანება „ელექტროაპარატში", რ-ის დაშლის შედეგად 1996 შეიქმნა დამოუკიდებელი სააქციო საზ-ბა „ე." საწარმო სპეციალიზებული იყო ელექტროავტომატური ამომრთველების წარმოებაზე; უშვებდა საგუშაგო სამსახურის შესამოწმებელ ხელსაწყოებს, ლითონკერამიკულ კონტაქტებს, კონტაქტის დამჭერებსა და პლასტმასის დეტალებს. პროდუქცია მოიხმარებოდა ქვეყნის შიგნით, ნაწილობრივ გადიოდა საზღვარგარეთ. 1996-იდან სააქციო საზ-ბა „ემა" დაიწყო ბუნებრივი აირისა და ელექტროენერგიის მრიცხველების დამცავი კარადების დამზადება, აგრეთვე განახლებადი ენერგიის (წყალი, მზე, ქარი) მცირე და მიკროელექტროდანადგარების წარმოება, რ-ის რეალიზაცია ხდება ადგილობრივ ბაზარზე (წინასწარი დაკვეთებით).

ვ. ვაჩნაძე